თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-25971-22
15 / 04 20 22

სს „მეგა-ლაბი“-ს დირექტორს
ბატონ მიხეილ დოლიძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი მიმდინარე წლის 1 აპრილის №02-01-25971-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება არსებული შენობის დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.03.039.015) გადის შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი საჰაერო D=50 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენი.

კომპანია თანახმაა განახორციელოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ აღნიშნულ მილსადენთან მიმართებაში დაცული იქნება საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესები და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის დადგენილება №101 (გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე). კერძოდ, სამუშაოების წარმოებისას არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი მომსახურების შესაძლებლობა.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შეთანხმებულ ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR


1:1 000
D=70
D=70
D=50
D=50
01.14.03.039.015
ჩ
დ
ს
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.03.039.015
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

შპს "მაგთიკომი"
№ ED-22/03/07-003
07-03-2022 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

სს ,,მეგა-ლაბი''-ს დირექტორს
ბატონ მიხეილ დოლიძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2022 წლის 23 თებერვლის N23/02/22/5-წ წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო არეალში მოცემულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. 23) გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზებს და მოგახსენებთ, რო არ ვართ წინააღმდეგი შესრულდეს დაგეგმილი სამუშაოები.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 599 038098: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ორი ფურცელი.
შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge